



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 14
03/07/2017

14-03-4-201707031112



დადგენილება №14
30 ივნისი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებებისა დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge, 23/12/2016, 190020020.35.171.016129) კერძოდ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით გამოიყო 1 758,5 ათ. ლარი. აღნიშნულ განკარგულებაში შევიდა ცვლილება 2017 წლის 22 ივნისს #1280 განკარგულებით.

შემცირდეს ბიუჯეტის შემოსავლები:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 144,5 ათ. ლარით (გრანტების მუხლი).

შემცირდეს ბიუჯეტის ხარჯები:

- პროგრამული კოდი 03 01 - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია - 144,5 ათ.ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).

2. განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება:

პროგრამული კოდი 05 02 02 02 - ა(ა)იპ „ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა”, სუბსიდია - შემცირდეს 3,5 ათ. ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა გაიზარდოს 3,5 ათ. ლარით.

3. გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები:

- ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად - 50,0 ათ. ლარით (გრანტების მუხლი). საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის #588 განკარგულებით „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები“-ს ფარგლებში თვითმართველ ქალაქ ოზურგეთს გამოეყო - 50,0 ათ. ლარი, კერძოდ: 463 ჰა თხილის ფართობის დასამუშავებლად მუშახელის შრომის ანაზღაურებისათვის - 46,3 ათ. ლარი, ხოლო საწვავის შესყიდვისათვის - 3,7 ათ. ლარი.


გაიზარდოს ბიუჯეტის ხარჯები:

- პროგრამული კოდი 03 02 03 - კომუნალური მომსახურების ცენტრი - 50,0 ათ.ლარით (სუბსიდია).

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა